საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

17/11/2026

MES 7 26 0001680108

გადაწყვეტილება

"სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №44 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 29 ოქტომბერის №35/7957 წერილის (ცენტრში რეგისტრაციის - №1547610), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №1674539, 17.11.2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №44 გადაწყვეტილებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის და გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (საერთაშორისო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ".
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2026 წლის 17 ნოემბრის №1674539 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 03 ნოემბრიდან.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების

მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე



